	Types of mistakes **შეცდომების ტიპების ჩამონათვალი** **ინგლისური**
A	**Wrong tense: არასწორია გრამატიკული დრო.** *I have seen her twice this week -ის ნაცვლად მოცემულია: I saw her twice this week.*
B	**Wrong mood: არასწორია კილო.** *If he did this job he would be paid well -ის ნაცვლად მოცემულია: If he does this job, he would be paid well.*
C	**Wrong voice: არასწორია გვარი.** *The building was repaired last year -ის ნაცვლად მოცემულია: The building repaired last year.*
D	**Wrong noun-verb agreement. Or any other kind of agreement in person and number: არასწორია შეთანხმება სახელსა და ზმნას შორის ან ნებისმიერი სხვა სახის შეუთანხმებლობა პირსა და რიცხვში.** *Tennis and swimming are his favourite sports -ის ნაცვლად მოცემულია: Tennis and swimming is his favourite sport. ან: These are our children -ის ნაცვლად მოცემულია: This are our children.*
E	**Wrong preposition**: **არასწორია წინდებული.** *I look forward to seeing you -ის ნაცვლად მოცემულია: I look forward for seeing you.*
F	**Wrong article: შეცდომაა არტიკლის გამოყენებაში.** *This is the house we want to buy-ის ნაცვლად მოცემულია: This is a house we want to buy.*
G	**An adjective used instead of an adverb or an adverb used instead of an adjective: ზედსართავი გამოყენებულია ზმნიზედის ნაცვლად ან ზმნიზედა გამოყენებულია ზედსართავის ნაცვლად.** *He is smart enough -ის ნაცვლად მოცემულია: He is smartly enough. ან: He speaks English fluently -ის ნაცვლად: He speaks English fluent.*
H	**Wrong pronoun: არასწორი ნაცვალსახელი.** *I met Tina and Nick and wished them a happy marriage -ის ნაცვლად მოცემულია: I met Tina and Nick and wished him a happy marriage.*
I	**Wrong verb form (incorrect use of infinitive, gerund or participle): არასწორია ზმნის ფორმა (შეცდომაა ინფინიტივის, გერუნდივის ან მიმღეობის გამოყენებაში).** *He enjoys watching soap operas -ის ნაცვლად მოცემულია: He enjoys to watch soap operas.*
J	**No mistake**